ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხ ო ნ ი
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 40 150

18/10/2018

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 ოქტომბრის რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" - ს 26–ე მუხლის პირველი პუნქტის , 35–ე მუხლის 1–ლი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის , ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) მე–17 მუხლის მე–2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის და 52-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

მუხლი 1. 2018 წლის 19 ოქტომბერს 13 საათზე ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში (ხონი, პ. კაკაბაძის ქ.#17) მოწვეულ იქნას ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა შემდეგი **დღის წესრიგით:**

1. ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის მოწმობის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებული (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) დოკუმენტების ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ.
მომხსენებელი: გიორგი ბარაბაძე- ხონის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და არქიტექტურის სამსახურის განყოფილების უფროსი.

2. ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ
მომხსენებელი: ოლეგი ვაჭარაძე - ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე

3. ხონის მუნიციპალიტეტში სოფ. დედალაურში ტუნგოების უბნის ქუჩისთვის მალხაზ აბაშიძის სახელის მინიჭების შესახებ
მომხსენებელი: ოლეგი ვაჭარაძე - ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე

4. ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო, და ეთიკის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: ალიკო ვეკუა - საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო, და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

5. ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" - ს პარტიული სიით არჩეული საკრებულოს წევრობის კანდიდატის თენგიზ ტაბიძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

მომხსენებელი: ალიკო ვეკუა - საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო, და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

6. ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ ქართული ოცნება-მრეწველების"- ს ახალი შემადგენლობის დამტკიცების ცნობად მიღების შესახებ.
მომხსენებელი: ალიკო ვეკუა - საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო, და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

7. ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ ქართული ოცნება-კონსერვატორების “- ს ახალი შემადგენლობის დამტკიცების ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: ალიკო ვეკუა - საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო, და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

მუხლი 2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N 1) მისი გამოცემიდან 1 /ერთი/ თვის ვადაში

მუხლი 3 . ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვალერი ბახტაძე

საკრებულოს თავმჯდომარე